# აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ ხელშეკრულება 15

*(შემსრულებლის მასალებით)*

*ქ. ბოლნისი* *04 თებერვალი 2011 წ.*

ჩვენ, ამ ხელშეკრულების მხარეები:

*ერთის მხრივ,* ააიპ „ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი" და *მეორეს მხრივ,* შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში–შემსრულებელი), ქვემო ქართლის რეგიონული ფილიალის მენეჯერის, ალექსანდრე ზაბახიძის სახით,

ვთანხმდებით შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანია, შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის სასმელი წყლის აღრიცხვის კვანძის მოწყობა საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების დაცვით, შემსრულებლის მასალებით და ახლოს დამკვეთის კუთვნილ ტერიტორიასთან.

II. შემსრულებელი ვალდებულია მოაწყოს აღრიცხვის კვანძი ხელშეკრულების დადებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

III. დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის, 365,55 ლარი, დღგ-ს ჩათვლით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

IV.აღრიცხვის კვანძის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების დანართი № 1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

V. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით.

VI. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი პირი გადაეცემა შემკვეთს და ერთი პირი შემსრულებელს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

| „დამკვეთი" | „შემსრულებელი" |
|---|---|
| ააიპ „ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი"<br>ქ. ბოლნისი წერეთლის ქ. №1ა<br>საიდენტიფიკაციო კოდი: 225394702<br>ემზარ ისიანი | შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"<br>ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №5<br>ს/ს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი<br>ბ/კოდი: LBRTGE22<br>ა/ა: GE56LB011 312 332 523 0002<br>ს/კოდი: 412670097<br>ალექსანდრე ზაბახიძე |